რუბრიკის პრემიერა

აგვიყოლიეთ, ჩემპიონებო!

ყველა რუბრიკას, ცხადია, თავისი მიზანი, დანიშნულება და პათოსი აქვს. რუბრიკა, რომლის პრემიერასაც დღეს გთავაზობთ, ჩვენის აზრით, განსაკუთრებულ ყურადღებას და მხარდაჭერას მოითხოვს. როცა გაზეთის ამავე ნომერში ამ რუბრიკით დაბეჭდილ პირველ წერილს წაიკითხავთ, დაგვეთანხმებით, რომ, ცოტა არ იყოს, გავზარმაცდით, უმოძრაობა მოგვეძალა, არადა დღეს სპორტული ობიექტები ისეთ და იმდენნაირ მომსახურებას გვთავაზობენ, ადრე ვერც კი ვიოცნებებდით.

ვფიქრობთ, ქუთაისელთა წამოწყება ძალზე დროული და საჭიროა. შეჯიბრების ჩატარების ფორმაც მიმზიდველი და სახალისო შეურჩევიათ (იხ. მე-2 გვ.).

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

5 იანვარი, სამშაბათი, 1988 წ.
№ 3 (9664) ⊙ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

მხოლოდ სტატისტიკა

გასული წლის ყველა წარმატება

⊙ მსოფლიო ჩემპიონატები და პირველობები:

4 ჩემპიონი და 3 გამარჯვებული, 1 პრიზიორი, 5 თასის მფლობელი (პირადი), 3 თასის მფლობელი (გუნდური), 2 პრიზიორი.

⊙ ევროპის ჩემპიონატები და პირველობები:

16 ჩემპიონი (5—გუნდურში) და გამარჯვებული, 6 პრიზიორი, 1 თასის მფლობელი (პირადი).

⊙ მსოფლიო უნივერსიადა:

3 ჩემპიონი, 4 პრიზიორი.

⊙ საერთაშორისო შეჯიბრებები და ტურნირები:

56 გამარჯვებული, 57 პრიზიორი.

⊙ საკავშირო ჩემპიონატები და პირველობები:

47 ჩემპიონი და გამარჯვებული, 87 პრიზიორი.

⊙ საკავშირო შეჯიბრებები:

40 გამარჯვებული, 39 პრიზიორი, 24 თასის მფლობელი, 9 თასის გათამაშების ფინალისტი, 17 მესამე პრიზიორი.

⊙ სპორტსკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშები:

23 ჩემპიონი, 44 პრიზიორი.

XII

თვის მონაგარი

რაც დეკემბერმა მოგვიტანა

საქართველოს სპორტსმენებისთვის 1987 წლის სეზონი ბარაქიანი გამოდგა. ჩვენმა ათლეტებმა თავი გამოიჩინეს ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე თუ თასის გათამაშებაში, საიდანაც მრავალი ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი ჩამოიტანეს. მათ წარმატებებს მიაღწიეს სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირებშიც. ერთი სიტყვით, 1987 წლის ყველა თვე, მეტნაკლებად, უხვმოსავლიანი გამოდგა. ჩვენმა სპორტსმენებმა სპორტული სეზონიც შესაბამისი აკორდით დაასრულეს.

და მაინც, დეკემბრის მონაგარი გამორჩეულია, გამორჩეულია იმდენად, რამდენადაც ამ თვეში მშვენიერი სქესის წარმომადგენლებმა, ყველა სხვა თვეებთან შედარებით, განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი. ეს მონაგარიც სწორედ მათი წარმატებების გახსენებით გვინდა დავიწყოთ.

განსაკუთრებით გაგვახარა თბილისელმა მოსწავლემ რუსუდან ხოფერიამ, რომელიც ბრაგაში (პორტუგალია) გამართულ ბატუტისტთა ევროპის ჩემპიონატიდან სამივე ხარისხის მედლით დაგვიბრუნდა. მან ოქროს მედალი გუნდურ პირველობაში გამარჯვებისთვის მოიპოვა. მეორე იყო წყვილთა სინქრონულ ხტომებში, ხოლო ინდივიდუალურ შეჯიბრებაში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

რუსუდან ხოფერია ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელთაგან პირველია, რომელმაც ასეთი რანგის შეჯიბრებაში ესოდენ დიდ წარმატებას მიაღწია.

თბილისელი ნინო სალუქვაძე, მთელი სეზონის განმავლობაში, ნებისმიერი რანგის შეჯიბრებაზე ფრიად შთამბეჭდავ წარმატებას აღწევდა. როგორც მოსალოდნელი იყო, მან სპორტული სეზონიც „ოქროს ფინიშით" დაასრულა. ლვოვში გამართულ საკავშირო თასის გათამაშებაში, პნევმატური პისტოლეტის (პპ-2) სროლაში ნინომ ძირითად შეჯიბრებაში 384 ქულა მოაგროვა, ფინალში კი, როგორც იტყვიან, ტყვიას ტყვიაში აჯენდა. 100 შესაძლებლიდან 100 ქულა მართლაც ბრწყინვალე შედეგი და ბრწყინვალე ფინიშია!

ჯიდევ ერთხელ გაგვახარეს თბილისელმა სინქრონული ცურვის ოსტატებმა. ამჯერად მათ მოსკოვში გამართულ საკავშირო თასის გათამაშებაში გამოიჩინეს თავი. ლელა მამიაურმა ერთეულთა გამოსვლაში მესამე ადგილი დაიკავა, შემდეგ მან თანაგუნდელ ნინო გელაშვილთან ერთად წყვილთა ასპარეზობაში სცადა ძალა და ვერცხლის მედალი დაისაკუთრა.

საკავშირო თასის გათამაშებაში, რომელიც ბაქოში გაიმართა, იბრძოდნენ ჩვენი ძიუდოისტი ქალებიც, თბილისელები ნონა ახრათაშვილი (48 კგ), მაია კაჩაშვილი (66) და ლელა ნებიერიძე (მძიმე წონა). ისინი იცავდნენ „დინამოს" ცენტრალური საბჭოს გუნდის ღირსებას, რომელმაც მესამე ადგილი დაიკავა.

თბილისი მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა პროფკავშირების საკავშირო ჩემპიონატს მასპინძლობდა. აქ წარმატებით გამოვიდა ნა-

იხ. მე.2 გვ

მსოფლიო ჩემპიონატი ჰოკეიში იუნიორთა შორის

ფრეც ყოფნით

მოსკოვი. ჰოკეისტთა ახალგაზზრდულ მსოფლიო ჩემპიონატში კანადის ნაკრებმა 3 იანვარს მორიგი გამარჯვება მოიპოვა. ამჯერად მან გფრ-ს გუნდს აჯობა — 8:1. გუშინ, მეშვიდე ტურში კანადელები გათამაშების აუტსაიდერთან პოლონეთის ნაკრებთან თამაშობდნენ.

ვერცხლის მედლების მთავარმა პრეტენდენტებმა საბჭოთა ჰოკეისტებმა პოლონეთის გუნდი დაამარცხეს — 7:2.

სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: ჩეხოსლოვაკია — აშშ 11:1, ფინეთი — შვეცია 5:2.

გათამაშების ცხრილი

	თ.	ქ.
კანადა	6	11
სსრ კავშირი	6	10
ფინეთი	6	9
ჩეხოსლოვაკია	6	7
შვეცია	6	5
აშშ	6	2
გფრ	6	2
პოლონეთი	6	2

დაფებს უსხედან მეცნიერები

თბილისის ჭადრაკის სასახლეში დასრულდა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის საჭადრაკო გუნდური პირველობა. შეჯიბრებაში მონაწილე 12 გუნდიდან ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ნ. მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტისა და გეოფიზიკის ინსტიტუტის წარმომადგენლები. მძაფრ ბრძოლაში ანგარიშით 2,5:1,5 გაიმარჯვეს მათემატიკოსებმა (დაფების მიხედვით ს. ჩობანიანი, თ. ებანოიძე, ვ. ბერიკაშვილი და ლიანა ხაჭაპურიძე), რომლებმაც შეინარჩუნეს აკადემიის ჩემპიონის წოდება. III ადგილი წილად ხვდათ ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მოჭადრაკეებს.

აღსანიშნავია თ. ებანოიძის აბსოლუტური შედეგი — 5 ქულა 5 შესაძლებლიდან.

თ. გორგაძე.

ფელეტაიპი - მკითხველი



სადგერი (კანადა). ამ ქვეყნისა და საბჭოთა კავშირის ჰოკეისტთა ოლიმპიური გუნდების მეხუთე შეხვედრაში მასპინძლებმა გაიმარჯვეს — 5:2 (2:1, 1:1, 2:0).

კვებეკი. გრძელდება ჭაბუკ ჰოკეისტთა საერთაშორისო ტურნირი. ნახევარფინალში საბჭოთა ნაკრებმა კანადის (წყნარი ოკეანის ზონის) გუნდი დაამარცხა—8:6.

ველინგტონი (ახალი ზელანდია). „გრან-პრის" პროგრამით გათვალისწინებულ ჩოგბურთელთა ტურნირის ფინალში ერთმანეთს მოსკოველი ანდრეი ჩესნოკოვი და ინდოელი რამეშ კრიშნანი შეხვდნენ. გამარჯვება ინდოეთის ჩემპიონმა მოიპოვა — 6:7, 6:0, 6:4, 6:3.

პორტ-ვაშინგტონი. 18 წლამდე ასაკის ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირის ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა ოდესელმა ელენე ბრიუხოვეცმა. ნახევარფინალში მან ამერიკელ ერიკა ო' ნილს აჯობა — 7:5, 1:6, 8:6. გადამწყვეტ მატჩში იგი იაპონელ ნანა მიაგის შეხვდება.

ოვიედო (ესპანეთი). დაიწყო ხელბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი. საბჭოთა კავშირის ნაკრებმა სასტარტო მატჩში საფრანგეთის გუნდი დაამარცხა — 32:25 (18:8). ტურნირის მასპინძლებმა ჰოლანდიელებს აჯობეს — 32:16 (16:7).

სან-პაულუ. საერთაშორისო მძლეოსნური გარბენი „სან-სილვესტრე" (დისტანცია 13 კილომეტრი) ახალი წლის წინა დღეს 63-ედ ჩატარდა. შეჯიბრება მეორედ მოიგო 22 წლის ეკვადორელმა როლანდო ვერამ. მანძილი მან 39.02-ში დაფარა.

პროფკავშირების შეთანხმებით

დანიის მუშათა სპორტული კავშირი დიდ მუშაობას ეწევა ქვეყნის მშრომელთა შორის სპორტის პროპაგანდისათვის. ამ მასობრივი პროფკავშირული ორგანიზაციის წარმომადგენლები ახლახან სტუმრად იყვნენ სსრ კავშირში. ხელმოწერილია შეთანხმება სპორტულ სფეროში სსრ კავშირ—დანიის პროფკავშირების სპორტული ორგანიზაციების ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.

გამოხმაურება წერილზე: „საუნჯეს დავუდგეთ დარაჯად!"

გორში გაიხსნება იპოდრომი

ადრე „ლელო" წერდა, რომ გორის რაიონში ექსპერიმენტული მეურნეობა-ტექნიკუმის თაოსნობით და რაიონის ხელმძღვანელობის მხარდაჭერით გაიხსნებოდა იპოდრომი. უკვე გადაიდგა პრაქტიკული ნაბიჯები — გამოიყო ადგილი, რომლის შერჩევაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ცხენოსნობის ფედერაციისა და თბილისის სახელმწიფო იპოდრომის წარმომადგენლებმა. როგორც მეურნეობა-ტექნიკუმის დირექტორმა არჩილ კაჭარავამ გვითხრა, იპოდრომის მშენებლობას სულ მალე მეუდგებიან. ჯერჯერობით შეძენილია 12 ცხენი.

აღსანიშნავია, რომ ამას წინათ მეურნეობა-ტექნიკუმის კომუნისტებმა პარტიული ორგანიზაციის კრებაზე იმსჯელეს სოციალურ საკითხებზე. დადგენილებაში ცალკე პუნქტი დაეთმო მშრომელთა შორის ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტმასობრივი მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას.

ილია თევდორაშვილი.
„ლელოს" კორესპონდენტი.

გორი.

აგვიყოლიეთ, ჩემპიონებო!

აბა, თქვენ იცით, მეზობლებო...

ვინ მოთვლის, რამდენჯერ გაუხარებიათ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები, სპორტის გულშემატკივრები სახელოვან ქუთაისელ მოჭიდავეებს, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს თეიმურაზ აფხაზავას და მსოფლიო უნივერსიადის ჩემპიონს ესტატე გოგლიჩიძეს. საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ილია ბობოხიძის აღზრდილმა ფალავნებმა ქუთაისის სპორტულ მატიანეში მრავალი საინტერესო ფურცელი ჩაწერეს.

თითქოს გუშინ იყო, ჩვენი სახელოვანი სპორტსმენების დიდ გამარჯვებებს რომ ვზეიმობდით. მართალია, დღეს ისინი ვეტერანები არიან, მაგრამ ფიზკულტურასა და სპორტთან კავშირი არ გაუწყვეტიათ. თეიმურაზი თავის გამოცდილებას ახალგაზრდა თაობას გადასცემს, ესტატე, ახალგაზრდა ინჟინერი, თავისი პროფესიით განაგრძობს მუშაობას, მაგრამ მას ხშირად შეხვდებით ჯანმრთელობის ბილიკებზე.

და აი, ახლახან მეგობრებმა მისაბაძ წამოწყებას ჩაუყარეს საფუძველი. თავიანთ უბნებში სპორტული გუნდები ჩამოაყალიბეს და პროფკავშირული სპორტული საზოგადოების ქუთაისის საქალაქო საბჭოს (თავმჯდომარე თ. ერემეიშვილი) ხელშეწყობით საინტერესო პაექრობა გაიმართეს.

ჩემპიონთა მეზობლებს, რომლებიც პირველნი ულოცავდნენ გამარჯვებებს ფალავნებს და მათი წარმატებებით ამაყობდნენ, უკან არ დაუხევიათ, სიამოვნებით ამოუდგნენ მხარში კაპიტნებს და...

პირველივე შერკინებაში, ბაგირის გადაძალვაში, ოცამდე ჯანმაგარმა მამაკაცმა ისეთი თავგამოდებით იბრძოლა, რომ მაჯის სიმსხო თოკმა ვერ გაუძლო ერთ მუშტად შეკრულ კაცთა ძალას და... გაწყდა. ჟიურის გადაწყვეტილებით მეტოქეები ფრეზე შეთანხმდნენ და მერე სიმძიმეების აწევაში სცადეს ბედი. თითქოს აქაც „საყაიმო ვითარება" შეიქმნა, მაგრამ საქალაქო საბჭოს აღმასკომის თანამშრომელმა ლევან იობაშვილმა 24 კილოგრამიანი გირი ზედიზედ 38-ჯერ აკრა, საუკეთესო შედეგი აჩვენა და გამარჯვება მოუტანა თ. აფხაზავას გუნდს. ე. გოგლიჩიძის მეზობლებმა ჭადრაკის დაფებთან აიღეს რევანში — როცა ანგარიში საყაიმო იყო, შეჯიბრების ყველაზე უმცროსმა მონაწილემ მარინა ვასილცევამ მეტად საჭირო ქულა და გამარჯვება მოუტანა თავის უფროს მეზობლებს.

...როცა ქართული საჭიდაოს ხმა გაისმა, ყველა ესტატესა და თეიმურაზს შემოეხვია, მაგრამ ფალავნებმა ამჯერად მეზობლებს ანდეს უბნის ღირსების დაცვა, თავად კი სეკუნდანტობა იკისრეს. აქაც ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია უპირატესობას. ჟიურის გადაწყვეტილებით საპატიო სიგელი და სამახსოვრო საჩუქარი თ. აფხაზავას ბავშვობის მეგობარს და ერთგულ გულშემატკივარს დათო ჩხენკელს გადაეცა. იგი მრავალ დიდ შეჯიბრებაზე ახლდა თემურს, საკმაოდ გამოცდილი გულშემატკივარია და აკი ყველაზე ლამაზადაც იჭიდავა.

მეზობელთა სპორტული პაექრობის კულმინაცია გამოდგა მინიფეხბურთში შეჯიბრება, რომელიც თ. აფხაზავას ბენეფისად იქცა. მან ისე ოსტატურად ითამაშა, რომ ბევრი მწვრთნელი, ალბათ, სიამოვნებით მიიწვევდა თავის გუნდში.

უტევს თეიმურაზ აფხაზავა.

თემურ ჯავახაძის ფოტო.

ფალავანმა ექვსი ბურთი გაიტანა მეტოქის კარში და თავის გუნდს გამარჯვება მოუტანა...

...ხმაურობდნენ ტრიბუნები, ქომაგები აქტიურად უჭერდნენ მხარს მოასპარეზე მეზობლებს. ბევრს გულმა არ მოუთმინა და მათ დასახმარებლად სარბიელს მიაშურა, სადაც გუნდები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ხელის გადაწევაში და მძლეოსნურ ესტაფეტაში.

ასე დაძაბულ ორთაბრძოლებში მიილია სპორტული პაექრობისათვის განკუთვნილი დრო. მცირე უპირატესობით, ანგარიშით 24:18 გაიმარჯვა თეიმურაზ აფხაზავას გუნდმა, რომელსაც სამახსოვრო თასი მსოფლიო ჩემპიონმა კლასიკურ ჭიდაობაში მიხეილ სალაძემ გადასცა.

მართლაც, კარგ ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ სიახლეს სხვებიც გამოეხმაურებიან. ყოველ შემთხვევაში, თეიმურაზ აფხაზავას უბნელთა გუნდი ჩვენი რესპუბლიკის ყველა კუთხიდან ელის მეტოქეს.

ვინ მიიღებს გამოწვევას?

თამაზ ხარაბაძე
(„ლელოს" საკუთარი კორესპონდენტი).

ქუთაისი.

XII

თვის მონაგარი

რაც დეკემბერმა მოგვიტანა

დასასრული

ტო ლეშქაშელი, რომელმაც აბსოლუტურ პირველობაში ჩემპიონის სახელი მოიპოვა. შეგახსენებთ, რომ მან უკან ჩამოიტოვა ისეთი ცნობილი სპორტსმენი, როგორიცაა საკავშირო ნაკრების წევრი, ჩვენი ქვეყნისა და საერთაშორისო პირველობების პრიზიორი, ლატვიელი ნატალია გრომოვა.

ლონდონში გამართულმა წყალში მხტომელთა საერთაშორისო ტურნირმა უდიდესი ინტერესი გამოიწვია. შეჯიბრებაში, თუ შეიძლება ასე ითქვას, წყალში მხტომელთა მოდის კანონმდებლები: სსრ კავშირის, აშშ-ისა და ჩინეთის წარმომადგენლები გამოდიოდნენ. ამიტომ, ერთიორად სასიხარულოა ამ ასპარეზობაში, კოშკიდან ხტომაში, თბილისელი ანა როსტიაშვილის გამარჯვება. იგი ერთადერთი საბჭოთა სპორტსმენი იყო, რომელმაც საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ასვლა შეძლო.

ბრიუსელში გამართულ საჭადრაკო ტურნირს „ქალები ვაჟების წინააღმდეგ" მეტად პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა. ქალთა გუნდი, მოგეხსენებათ, დაკომპლექტებული იყო თბილისელების მაია ჩიბურდანიძის, ნონა გაფრინდაშვილის, უნგრელი ჟუჟა პოლგარისა და შვედი პია კრამლინგის შემადგენლობით.

დასავლეთში ბევრ კომენტატორს მიაჩნია, რომ პოლგარი და კრამლინგი მსოფლიოში უძლიერესები არიან და მამაკაცების წინააღმდეგ ისინი ყველაზე უკეთ იბრძვიანო. ქართველმა მოჭადრაკე ქალებმა კი პირიქით მრავალგზის დაგვარწმუნეს, მათ შორის ახლაც, ბრიუსელში. აქ უძლიერესის სახელი გაფრინდაშვილმა მოიპოვა (5 ქულა), მეორე იყო ჩიბურდანიძე (4,5). პოლგარმა (3,5) და კრამლინგმა (3) კი ბოლო ადგილები დაიკავეს.

თბილისელ მოჭადრაკე ქეთევან არახამიას დეკემბერში რაიმე მნიშვნელოვან შეჯიბრებაში მონაწილეობა არ მიუღია, მაგრამ თვის მონაგარში მაინც გვინდა მოვიხსენიოთ. ეს სურვილი იმითაა გამოწვეული, რომ მის სახელთან დაკავშირებულია ერთი ფრიად სასიხარულო ცნობა, რომელიც სწორედ დეკემბერში მივიღეთ. სევილიაში გამართულ ფიდე-ს მორიგ კონგრესზე ქეთევან არახამიას საერთაშორისო დიდოსტატის წოდება მიანიჭეს.

სპორტის ზამთრის სახეობებში ჩვენი სპორტსმენების წარმატებებით განებივრებულნი ხრულიადაც არა ვართ. ამდენად, საქართველოს სპორტსმენთა კარგ გამოსვლას თოვლიან თუ ყინულიან სარბიელზე, თუ შეიძლება ასე ითქვას, მუდამ ორმაგი სიხარულით აღვიქვამთ. ასე იყო ამჯერადაც, როცა ლენინგრადში გამართულ ტრადიციულ საკავშირო შეჯიბრებაში თბილისელმა ინგა გილაურმა 3000 და 5000 მეტრზე ასპარეზობაში მეორე ადგილები დაიკავა.

ინგას ამგვარი წარმატება მით უფრო სასიხარულოა, რომ ეს შეჯიბრება კალგარის ზამთრის ოლიმპიური თამაშებისთვის ქვეყნის ნაკრების წევრთა შერჩევის ერთ-ერთ უკანასკნელ ეტაპს წარმოადგენდა.

აქვე უნდა შევახსენოთ, რომ ინგა გილაურმა ლენინგრადში მოპოვებული წარმატების წყალობით ევროპის ჩემპიონატში გამოსვლის უფლება მოიპოვა.

საციგაო სპორტში სვერდლოვსკში გამართულ საკავშირო თასის გათამაშების მეორე ეტაპზე იუნიორთა შორის ორადგილიანი ციგურებით ასპარეზობაში უძლიერესნი იყვნენ ბაკურიანელები ლევან თიბილოვი და კახა ვახტანგიშვილი. ამ წარმატებით ჩვენმა სპორტსმენებმა უფლება მოიპოვეს იასპარეზონ იუნიორთა მსოფლიო პირველობაზე, რომელიც იტალიაში გაიმართება.

სპორტის ზამთრის სახეობებში ჩვენი სპორტსმენების წარმატებები ამით არ ამოიწურა. ალმა-ათის მახლობლად, ჩიმბულაკში გამართულ სსრ კავშირისა და ბულგარეთის ნაკრები გუნდების სამთომოთხილამურეთა სამატჩო შეხვედრაში თბილისელმა გია ორჯონიკიძემ ყველას აჯობა სუპერგიგანტის ტრასაზე.

შარშანდელი სეზონი თბილისელი გურამ გედეხაურისთვის მეტად ბედნიერი აღმოჩნდა. მსოფლიო ჩემპიონმა და თასის მფლობელმა წარმატებით იასპარეზა შვეციის ქალაქ მარლემში გამართულ კლასიკური სტილის მოჭიდავეთა საერთაშორისო ტურნირშიც, სადაც 100 კგ წონითი კატეგორიის ფალავნებში ყველა მეტოქე დაამარცხა და საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

სეულში, ოლიმპიური კვირეულის მიწურულს, სარბიელი ძიუდოისტებს დაეთმოთ, სადაც 11 ქვეყნის, მათ შორის იაპონიის, საფრანგეთის, გფრ-ის, აშშ-ის, ჰოლანდიის, უნგრეთის, სამხრეთ კორეის, სსრ კავშირის წარმომადგენლებიც გამოდიოდნენ.

როგორც ყოველთვის, უდიდესი ინტერესი მძიმე წონის მოჭიდავეებმა მიიპყრეს. აქ უძლიერესის სახელი ქუთაისელმა აკაკი კიბორძალიძემ მოიპოვა.

გულშემატკივრები ძალზე გაახარა თბილისელმა მალხაზ ბერუაშვილმა, რომელიც დეკემბერში ძალზე პრესტიჟულ ასპარეზობაში, გორში გამართულ საბჭოთა კავშირის სამბისტთა აბსოლუტურ ჩემპიონატში გამოდიოდა. ამ შეჯიბრებაში, რომელიც „სოვეტსკი ვოინ"-ის პრიზზე ჩატარდა, მალხაზ ბერუაშვილმა ყველა მეტოქე დაამარცხა, ოდესელ ვიქტორ სერდიუკოვთან ფინალურ შეხვედრაში კი მისი უპირატესობა იმდენად აშკარა იყო (12:0), რომ მსაჯებმა შეწყვიტეს ბრძოლა და გამარჯვება თბილისელ ფალავანს მიაკუთვნეს. ბერუაშვილმა საუკეთესო ტექნიკისთვის დაწესებული პრიზიც დაიმსახურა.

გორში მესამე ადგილები გაიყვეს თბილისელმა იოსებ ჭიჩოშვილმა და ტულელმა მოგამედხან გამზადხანოვმა.

ლენინგრადი მეცხრედ მასპინძლობდა მოკრივეთა ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირს, რომელიც ადგილობრივი ტელევიზიის პრიზზე ტარდება. შეჯიბრებაში თბილისელი რუდიკ კაზანჯიანიც (48 კგ) გამოდიოდა. მან ნახევარფინალში შოტლანდიელი დოჰერტი დაამარცხა, ფინალში საბჭოთა ნაკრების წევრს იუნს მოუგო და ოქროს მედალი მოიპოვა.

და ბოლოს თბილისელი ველოსიპედისტის ვლადიმერ ადამაშვილის შესახებ, რომელმაც გასული წლის საქართველოს სპორტსმენთა წარმატებები დააგვირგვინა. ადამაშვილმა მოსკოვში, ოლიმპიურ ტრეკზე გამართულ შეჯიბრებაში, რომელშიც ქვეყნის თითქმის ყველა უძლიერესი ველოსიპედისტი მონაწილეობდა, გაიმარჯვა გიტსა და სპრინტერთა შეჯიბრებაში.

აი, ასეთი იყო საქართველოს ათლეტთა სპორტული სეზონის ფინიში.

იმედია, წარმატებათა სერიას ისინი გააგრძელებენ ახალ, 1988 წელსაც — მთავარი გამოცდა კი, ცხადია, სეულის ოლიმპიურ თამაშებზე იქნება.

პროფკავშირთა ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების ორგანიზაციების რაიონულ და საქალაქო კონფერენციებზე

ობიექტურად შეაფასეს

ზუგდიდის რაიონულ კონფერენციაზე ობიექტური შეფასება მიეცა ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკთა საქმიანობას. სიტყვით გამოსულებს შორის იყვნენ პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო დარგის მუშაკები, ფიზკულტურელები, მწვრთნელები.

კონფერენციაზე აღინიშნა, რომ ყოველ წელს ორგანიზებულად ტარდება რაიონული სპარტაკიადები, მაგრამ მასობრიობა მაინც ნელა იზრდება. მაგალითად, 1987 წელს კოლმეურნეობის, სანერგე მეურნეობის, ცეკავშირის ბაზის, განათლების განყოფილების, რაისაავადმყოფოს, №16 და №26 მოძრავ-მექანიზებული კოლონის, კავშირგაბმულობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს ფიზკულტურულმა კოლექტივებმა სპორტის ვერც ერთ სახეობაში ვერ შეძლეს მონაწილეობის მიღება. ბევრგან არ ტარდება სპორტული ღონისძიებები, შიდა საკოლექტივო შეჯიბრებები, რის გამო რაიონულ პირველობაზე მოუმზადებელი გუნდები გამოდიან, ძნელდება პერსპექტიული ახალგაზრდების შერჩევა.

ბევრი სპორტული ღონისძიება უფერულად, წინასწარი მომზადების გარეშე ეწყობა. ბევრი რაიონული პირველობა ცარიელ დარბაზებსა და მოედნებზე ტარდება.

ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლას მაღალკვალიფიციური მწვრთნელები აკლია, არ გააჩნიათ შესაფერისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. გადაწყვეტას მოითხოვს დამწყები, სასწავლო ჯგუფების გახსნის საკითხი. საცხენოსნო სპორტულ კლუბში ასაშენებელია დახურული მანეჟი და თავლები, ტურიზმის მოყვარულთათვის არ არის ცხენები. მიუხედავად იმისა, რომ ამ ბოლო დროს რაიონში ბევრი სპორტული ბაზა აშენდა, 7 საწარმოს, მათ შორის ისეთ ცნობილ კოლექტივს, როგორიცაა ინგირის ჩაის საწარმოო კომბინატი, ჯერ კიდევ არავითარი სპორტული სარბიელი არ გააჩნია. ზედა ეწერის მეურნეობა-ტექნიკუმის საცურაო აუზი კი უწყლობის გამო უმოქმედოა.

კონფერენციაზე სხვა პრობლემებიც დაისვა, რომელთა გადაწყვეტა ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკებს მუშაობაში დაეხმარება.

კონფერენციამ პროფკავშირების ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების რაიონული საბჭოს თავმჯდომარედ გამოცდილი მუშაკი შაქრო ჩანგელია აირჩია.

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველი მდივანი ბონდო ჯიქია.

ნუგზარ ქვანია,
„ლელოს" საკ. კორ.

SOS

კონფერენცია კვლავ ჩაიშალა

ეს ცნობა ბორჯომიდან მივიღეთ. ჩაიშალა პროფკავშირების ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების რაიონული კონფერენცია, რომელიც გრაფიკით 29 დეკემბერს უნდა ჩატარებულიყო. ეს ფაქტი მით უფრო აღმაშფოთებელია, რომ ამ რაიონში კონფერენციის ჩატარების ვადები მანამდე სამჯერ გადაიტანეს. 29 დეკემბერს დანიშნული ღონისძიება ჩაიშალა იმ მიზეზით, რომ კონფერენციაზე არ გამოცხადდა დელეგატთა უმრავლესობა. უამინდობას, რომელიც საბაბად მოაქვთ, ვერ გავიზიარებთ თუნდაც იმიტომ, რომ რესპუბლიკის უფრო მაღალმთიან რაიონებში კონფერენციები დროულად და მაღალ დონეზე ჩატარდა. მთავარი და ნამდვილი მიზეზი გახლავთ კონფერენციის ჩატარების ორგანიზაციის საქმეში კონკრეტულ მუშაკთა უპასუხისმგებლობა, უუნარობა.

ვფიქრობთ, რაიონის ხელმძღვანელობა გვაცნობებს, რა ზომები მიიღეს და ვინაა კონკრეტული დამნაშავე.

რაიონის სპორტკომიტეტის თაოსნობით თელავში ერთ თვეზე მეტ ხანს მიმდინარეობდა ქალაქის პირველობა მინიფეხბურთში უბნების გუნდებს შორის. გარდამავალი თასის მოსაპოვებლად წელს თორმეტი გუნდი ჩაება ასპარეზობაში. საფეხბურთო მატჩები ტარდებოდა მინიფეხბურთის ახალ მოედანზე, ჩოგბურთის კორტების მეზობლად. საინტერესო ორთაბრძოლების შემდეგ ფინალში გავიდა

მოკლედ

„ბერმუხა" და „მეგობრობა". ანგარიშით 6:2 გაიმარჯვა „ბერმუხამ" და მეექვსედ მოიპოვა გარდამავალი თასი. გუნდის წევრები დაჯილდოვდნენ პირველი ხარისხის დიპლომებით.

„ლელოს" საკ. კორ.

ორი ჩემპიონი

თბილისის ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა დედაქალაქის ვაჟთა 59-ე ჩემპიონატი ჭადრაკში. ტურნირი ძალზე საინტერესო გამოდგა. უაღრესად რთულ და დაძაბულ ბრძოლაში 14,5-14,5 ქულით I-II ადგილები გაიყვეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის II კურსის სტუდენტმა, ოსტატობის კანდიდატმა გივი გოგიჩაიშვილმა და თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის III კურსის სტუდენტმა, ოსტატობის კანდიდატმა დავით ლობჟანიძემ. მათ ძალზე სტაბილურად ჩაატარეს მთელი ტურნირი და სავსებით დამსახურებულად გაიმარჯვეს. დებულების თანახმად ორივე მოჭადრაკეს მიენიჭა თბილისის 1987 წლის ჩემპიონის წოდება. მათ მიიღეს საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის საგზურები.

13 ქულით III ადგილი დაიკავა თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტის საჭადრაკო ფაკულტეტის კურსდამთავრებულმა, ოსტატობის კანდიდატმა დავით პაქსაშვილმა. მასთან ერთად საქართველოს ჩემპიონატის პირველი ლიგის საგზურები მოიპოვეს IV ადგილზე გასულმა ხვიჩა სუპატაშვილმა (12,5 ქულა) და V ადგილის მფლობელმა, თბილისის 1986 წლის ჩემპიონმა პაატა გაფრინდაშვილმა (11 ქულა და უკეთესი კოეფიციენტი).

დანარჩენი ადგილები ასე განაწილდა: ვარლამ ვეფხვიშვილი, გია ცქიტიშვილი — 11-11, გიორგი მაჭარაშვილი, ქეთევან კახიანი — 10-10, ალექსი ლაზარაშვილი — 9,5, ზაზა ხოფერია — 9, ემილ მიქაელიანი — 7,5, მერაბ თხელიძე, ალექსანდრე ბოკუჩავა — 7-7, არტურ თეიმურაზიანი, ბექა კვარაცხელია—5-5, თემურ გათიკოევი, ნიკოლოზ ლობჟანიძე, რამაზ მჭედლიშვილი — 4,5-4-5.

ვასილ ვაშაკიძე.

სამბისტთა პირად-გუნდური

სამხრეთ ოსეთის პროფკავშირების ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების საოლქო საბჭოს სამბისტთა პირად-გუნდურ პირველობაში ქალაქ ცხინვალის და ოლქის რაიონების ხუთმა გუნდმა მიიღო მონაწილეობა. შეჯიბრებაზე, რომელიც ცხინვალში, „კოლმეურნის“ სპორტულ დარბაზში ჩატარდა, განსაკუთრებით კარგად გამოვიდა ცხინვალის რაიონის გუნდი, რომელმაც დამსახურებულად დაიკავა პირველი ადგილი. მეორე ადგილი წილად ხვდა ჯავის რაიონის ნაკრებს, ხოლო მესამეზე გავიდნენ ლენინგორელი სამბისტები. უფერულად იასპარეზეს ქალაქის წარმომადგენლებმა, რომლებიც მხოლოდ მეოთხე ადგილს დასჯერდნენ.

პირად პირველობაში წონითი კატეგორიების მიხედვით გამარჯვებულები გამოვიდნენ: არკადი ოთიაშვილი (48 კგ.), სერგო ხაჭაპურიძე (57 კგ.), ალექსანდრე დანელიანი (68 კგ.), ზაზა ზანგალაძე (74 კგ.), ოლეგ ტრამაკიძე (82 კგ.), თეიმურაზ გაბარაევი (100 კგ.), ალექსანდრე გიკაშვილი (მძიმე წონა, ყველა ცხინვალის რაიონიდან), ჯავის რაიონიდან — რადიკ სანაკოევი (52 კგ), ქ. ცხინვალიდან — რამაზ გაბოძე (62 კგ.), ზნაურის რაიონიდან — ხვიჩა გაზაშვილი (90 კგ.).

ლეილა სუბელიანი.
(„ლელოს“ კორ.).

ინფორმაცია

ჰამბურგი. აქ დამთავრდა ფრენბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი. კუბის სპორტსმენებმა გადამწყვეტ შეხვედრაში ბრაზილიის გუნდი დაამარცხეს (3:2) და პირველი ადგილი დაიკავეს. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ჰოლანდიის, გფრ-სა და ბრაზილიის ფრენბურთელები.

ლონდონი. აქ ჩატარდა ექვსი ქვეყნის ფრენბურთელ ქალთა ტურნირი, რომელშიც კუბის ნაკრებმა იმარჯვა. გადამწყვეტ შეხვედრაში მან კანადის გუნდი დაამარცხა — 3:0.

დარგობრივ პროფკავშირებში შემავალი ტექნიკუმების I რესპუბლიკური სპარტაკიადა

ასპარეზობა—კულტურული პროგრამით

სხვადასხვა დარგობრივ პროფკავშირებში შემავალ ტექნიკუმების პირველ რესპუბლიკურ სპარტაკიადას ქუთაისში თავისი საუკეთესო სპორტული ბაზები დაუთმეს. სპარტაკიადის მონაწილენი ძალას ცდიდნენ მშდ-ს მრავალჭიდში, მაგიდის ჩოგბურთში, ქართულ ჭიდაობაში, ცურვაში, მძლეოსნობაში, კალათბურთში, ფრენბურთში.

მშდ-ს მრავალჭიდში მხოლოდ ექვსი კოლექტივის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ზოგიერთ ტექნიკუმში ამ სახეობას სათანადო ყურადღება არ ექცევა. ეს იქიდანაც ჩანს, რომ გუნდებში სულ 5-5 სპორტსმენი უნდა გამოეყვანათ, მაგრამ...

ვარაუდობდნენ, რომ ქართულ ჭიდაობაში ყველა ტექნიკუმი მიიღებდა მონაწილეობას, მაგრამ სამწუხაროდ, მოლოდინი არ გამართლდა. სარბიელზე მხოლოდ 5 გუნდის წარმომადგენლები გამოვიდნენ.

უნდა ითქვას, რომ მოცურავეთა შეჯიბრების ორგანიზაციულმა მხარემ უკმაყოფილება გამოიწვია. საერთო გუნდური ადგილების დაჯამება რატომღაც სპეციალური ქულების დასათვლელი ცხრილის გარეშე წარმართეს. გარდა ამისა, მსაჯებმა წინა დღით მისაღები განაცხადები ზოგიერთი ტექნიკუმისაგან მეორე დღეს ჩაიბარეს. ამით ისარგებლა სამედიცინო სასწავლებლის მწვრთნელმა და მისი მოცურავეები იმ დისტანციებზე გაანაწილა, სადაც ნაკლები მონაწილე ეგულებოდა, თანაც ამ შემთხვევაში გოგონების გუნდს უპირატესობა იმითაც ეძლეოდა, რომ შეჯიბრებაზე ისინი ისედაც ცოტანი იყვნენ. მსაჯების საქმისადმი ამდაგვარმა მიდგომამ ზოგიერთი გუნდი დააზარალა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა და სპარტაკიადის ჩემპიონობა მოიპოვა თბილისის განათლების პროფკავშირების ნაკრებმა, რომელიც ძირითადად დედაქალაქის პოლიტექნიკური, მანქანათმშენებლობისა და ინდუსტრიული ტექნიკუმების სპორტსმენებით იყო დაკომპლექტებული. მეორე ადგილზე არიან ქუთაისის განათლების პროფკავშირების წარმომადგენლები, რომლის სახელსაც გაერთიანებული ძალებით ქუთაისის ავტომექანიკური და მრეწველობის ტექნიკუმის სპორტსმენები იცავდნენ. მესამე ადგილი წილად ხვდა ქუთაისის კოოპერაციულ ტექნიკუმს.



თბილისისა და ქუთაისის ვაჟ ფრენბურთელთა გუნდების შეხვედრის მომენტი.

ავტორის ფოტო.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ დარგობრივ პროფკავშირებს თითო-თითო ტექნიკუმი ექვემდებარება. ამ შეჯიბრებაზე თავიანთი ძალებით ასპარეზობდნენ თბილისის ტოპოგრაფიული, თბილისის საფინანსო-ეკონომიკური, თბილისისა და ქუთაისის კოოპერაციული ტექნიკუმები, რომლებსაც მართლაც უჭირდათ გამკლავებოდნენ რამდენიმე ტექნიკუმისაგან შემდგარ გუნდებს. მიუხედავად ამისა, ამ ტექნიკუმების ცალკეულმა წარმომადგენლებმა ზოგიერთ სახეობებში საპრიზო ადგილებიც დაიკავეს.

სამწუხაროდ, სპარტაკიადას რატომღაც თავი აარიდეს კულტურის პროფკავშირების გუნდმა და თბილისის კავშირგაბმულობის ტექნიკუმის წარმომადგენლებმა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სპარტაკიადის მონაწილენი მხოლოდ შეჯიბრებით არ იყვნენ დაკავებულნი. თავისუფალ დროს სპორტსმენებისთვის მოეწყო ექსკურსია გელათში, სათაფლიაში, წყალტუბოში, სპორტსმენებმა მოინახულეს ბაგრატის ტაძარი. ხშირად იმართებოდა დისკოთეკა და სხვადასხვა გასართობი ღონისძიება. სპარტაკიადის დახურვაც დისკოთეკით მოეწყო.

კარლო სალუქვაძე,
„ლელოს“ სპეც. კორ.

ქუთაისი.

ნორჩები მინიფეხბურთს თამაშობენ

გაიმართა პროფკავშირების ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს ფინალური გათამაშება მინიფეხბურთში 1973-74, 1975-76, 1977-78 წლებში დაბადებულ ნორჩ სპორტსმენთა შორის. სარბიელზე გამოვიდნენ რესპუბლიკურ ზონებში გამარჯვებული გუნდები.

ფინალური თამაშები ჩატარდა თბილისში ზოოვეტერინარულ-კვლევითი ინსტიტუტის სპორტდარბაზში. ტურნირის ჩატარებაში დიდი დახმარება გაგვიწიეს აღნიშნული ინსტიტუტის რექტორატმა, პროფკავშირისა და კომკავშირის ხელმძღვანელობამ. 1977-78 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის ფინალში ერთმანეთს ტყიბულისა და ნატანების (მახარაძის რაიონი) გუნდები შეხვდნენ. 3:1 გაიმარჯვეს ტყიბულელებმა (მწვრთნელი გ. ქარქაშაძე), 1975-76 წლებში დაბადებულ ფეხბურთელთა შორის წულუკიძის გუნდმ. (მწვრთნელი ც. კაკაურიძე) —2:1 სძლია მახარაძის წარმომადგენლებს. 1973-74 წლებში დაბადებულთა შორის მახარაძის გუნდმა (მწვრთნელი ზ. ჯინჭარაძე) ანგარიშით 8:6 დაამარცხა სოფელ ლაითურის ფეხბურთელები. გამარჯვებული გუნდები მონაწილეობას მიიღებენ საკავშირო ტურნირებში.

შ. ხანიაშვილი,
პროფკავშირული სპორტსაზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს უფროსი ინსპექტორი.

ვეტერანის სახელობის თასზე

სპორტის დამსახურებული ოსტატის გივი ჩოხელის სახელობის ტრადიციული თასის გათამაშებაში მონაწილეობდა რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ფეხბურთელთა ოცზე მეტი ნაკრები გუნდი. ოთხ ზონაში გამართული წინასწარი შეხვედრების შემდეგ ნახევარფინალებში გუნდები ასე დაწყვილდნენ: ვარდისუბანი—ვანთა, თელავის №3 სკოლა — სანიორე. ვარდისუბნელებმა აშკარად დაჯაბნეს მეტოქე—9:1. მეორე ნახევარფინალური შეხვედრა ძალზე დაძაბულად წარიმართა—ძირითადი და დამატებითი დრო ფრედ დამთავრდა — 2:2. პენალტები უფრო ზუსტად თელაველებმა დაარტყეს. ფინალშიც მათ იმარჯვეს — ანგარიშით 5:2 დაამარცხეს ვარდისუბნელები და დაეუფლნენ გარდამავალ თასს. გამარჯვებულები და პრიზიორები დიპლომებით დაჯილდოვდნენ.

ალექსანდრე პაპოშვილი.

რუუდ გულიტი და სხვანი

ფრანგული ჟურნალი „ფრანს ფუტბოლი“ ჟურნალისტთა გამოკითხვით ყოველ წელს განსაზღვრავს ევროპის საუკეთესო ფეხბურთელს. წლევანდელი გამოკითხვის შედეგად ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად, როგორც ადრე გაუწყეთ, მიჩნეულია ჰოლანდიელი რუუდ გულიტი.

„ფრანს ფუტბოლის“ ანკეტის საერთო შედეგები ასეთია:

1. რ. გულიტი (ჰოლანდია) — 106 ქულა
2. პაულუ ფუტრე (პორტუგალია) — 91 ქულა
3. ემილიო ბუტრაგენიო (ესპანეთი) — 61 ქულა
4. ხოსე-მიგუელ გონზალეს მიჩელი (ესპანეთი) — 29 ქულა
5. ჰარი ლინეკერი (ინგლისი) — 13 ქულა
6-7. ჯონ ბარნსი (ინგლისი) და მარკო ვან ბასტენი (ჰოლანდია) — 10-10 ქულა
8. ჯანლუკა ვიალი (იტალია) — 9 ქულა
9. ბრაიან რობსონი (ინგლისი) — 7 ქულა
10-11. კლაუს ალოფსი (გფრ) და გლენ ჰისენი (შვეცია) — 6-6 ქულა.

საინტერესოა, რომ ინგლისური ჟურნალის „უორლდ სოკერის“ გამოკითხვითაც რ. გულიტი 1987 წლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად იყო მიჩნეული. მან მნიშვნელოვნად გაუსწრო ცნობილ არგენტინელ ოსტატს დიეგო მარადონას.

რუუდ გულიტი 25 წლისაა. იგი ჰოლანდიელია, მაგრამ გამოდის იტალიის „მილანის“ შემადგენლობაში. ჰოლანდიის ეროვნულ ნაკრებში იგი თავდამსხმელად თამაშობს, ხოლო „მილანში“ — ნახევარმცველად.

სუპერთასი — „სპორტინგს“

პორტუგალიის ჩემპიონი ფეხბურთში და ამ ქვეყნის თასის მფლობელი ერთმანეთს „სუპერთასს“ ეცილებიან ხოლმე. ამჯერად ორი მატჩი გამართეს ლისაბონის „ბენფიკამ“ (ჩემპიონი) და ამავე ქალაქის „სპორტინგმა“ (თასის მფლობელი). ორივე მატჩი „სპორტინგის“ უპირატესობით დამთავრდა — 3:0, 1:0, სუპერთასიც მას დარჩა.

„ბედი აშკარად წყალობს“

ასე წერენ ესპანელი მიმომხილველები ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების მწვრთნელ მიგელ მუნიოსზე, რომელიც გუნდს 1982 წლიდან ხელმძღვანელობს. მუნიოსი, როგორც მინიმუმი, კიდევ ორ წელიწადს მაინც იქნება ესპანეთის ნაკრების ხელმძღვანელი. მისმა გუნდმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში გაიმარჯვა და ახლა გფრ-ში მოელის გამოსვლა. „ასეთი იღბლიანი მწვრთნელის ხელმძღვანელობით ჩვენ მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირშიც გავიმარჯვებთ“. — წერენ ესპანური გაზეთები.

დროს არ კარგავს

როგორც იცით, ცნობილი ალჟირელი ფეხბურთელი რაბაჰ მაჯერი მომავალი ზაფხულიდან მიუნხენის „ბაიერნის“ გუნდის წევრი ხდება. მანამდე? მანამდე რ. მაჯერმა კიდევ ერთი, ამჯერად ექვსთვიანი ხელშეკრულება დადო ამსტერდამის „აიაქსთან“.

რომელიმე უნდა „შემჭიდროვდეს“

ენცო ფრანჩესკოლი, ურუგვაის უძლიერესი ფეხბურთელი, რომელიც პარიზის „რესინგში“ თამაშობდა (ამ გუნდმა მონტევიდეოს „პენიაროლს“ მაშინ 800 ათასი დოლარი გადაუხადა), ახლა ტურინის „იუვენტუსში“ გადადის. ხელშეკრულება მიმდინარე წლის ზაფხულიდან შედის ძალაში. „იუვენტუსი“ 4.5 მილიონ დოლარს იხდის და ახლა ერთ საკითხზე უნდა იფიქროს: რომელი უცხოელი გაათავისუფლოს გუნდიდან: დანიელი მიხაელ ლაუდრუპი თუ უელსელი იენ რეში.

ითამაშებს მარადონაც

31 მარტიდან 2 აპრილამდე დასავლეთ ბერლინში გაიმართება საინტერესო „ოთხთა ტურნირი“. მასში მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიო ჩემპიონები — არგენტინელები, აგრეთვე საბჭოთა კავშირის, საფრანგეთისა და გფრ-ის ნაკრები გუნდები. იმის გამო, რომ ამ დროს იტალიის ჩემპიონატში მცირე შესვენებაა, „ნაპოლის“ ხელმძღვანელობამ ტურნირში გამოსვლის ნება დართო დიეგო მარადონას.

ჩემპიონთა თასი — „ელ-აჰლის“

აფრიკის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ფინალში (აქ ორი მატჩი თამაშდება) გავიდნენ კაიროს „ელ-აჰლი“ (ეგვიპტე) და ხართუმის „ელ-ჰილალი“ (სუდანი). პირველი მატჩი ხართუმში ფრედ დამთავრდა — 0:0, მეორე შეხვედრას კაიროში 80 ათასი მაყურებელი დაესწრო. იგი ეგვიპტელებმა მოიგეს და ჩემპიონთა თასსაც დაეუფლნენ. ეს „ელ-აჰლის“ ფეხბურთელების მეორე გამარჯვებაა აფრიკის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში. ამ გუნდმა სამჯერ მოიგო აფრიკის ქვეყნების თასების მფლობელთა თასი.

ჯარიმა შეამცირეს

ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა სადისციპლინო კომისიამ გადაწყვიტა შეამციროს თანხა, რომლითაც დაჯარიმებული იყო ესპანეთის ფეხბურთის ფედერაცია. 75 ათასი დოლარის ნაცვლად ესპანელებმა 45 ათასი უნდა გადაიხადონ.

14 ოქტომბერს სევილიაში შედგა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ესპანეთისა და ავსტრიის ნაკრებ გუნდებს შორის. ესპანელ გულშემატკივართაგან ერთ-ერთმა ტრიბუნიდან ბოთლი ისროლა, რომელიც გვერდით მსაჯს მოხვდა. უეფა-ს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მდგომარეობის შემამსუბუქებელი ვითარებით იხელმძღვანელა, თუმცა კონკრეტულად ამის თაობაზე არაფერი უთქვამს.

თბილისის მე-60 საშუალო სკოლის მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდაში მიღწეულ წარმატებებს უკავშირებენ სახელოვანი ქართველი წყალბურთელის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ვლადიმერ ისელიძის სახელს, რომელიც ამ სკოლის აღზრდილია. ალბათ ამიტომაც, ამ სკოლაში წყალბურთი სპორტის ყველაზე პოპულარული სახეობაა. ბევრი მოსწავლე საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების წევრია და წარმატებით მონაწილეობს საქალაქო თუ რესპუბლიკურ შეჯიბრებებში. ამ სკოლის წყალბურთელთა ვარჯიშებს ხშირად ესწრება ვ. ისელიძე, რომელიც სასარგებლო რჩევა-დარიგებებს აძლევს მომავალ ოსტატებს.

სურათზე: ვ. ისელიძე თბილისის მე-60 საშუალო სკოლის მეათე კლასელებთან.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ახალი წლის პირველი მედლები

ჰოლანდიის ქალაქ არნჰემში დამთავრდა ევროპის ჩემპიონატი ჭადრაკში ჭაბუკთა შორის. გაიმარჯვა 19 წლის მინსკელმა ბორის გელფანდმა — 11,5 ქულა 13 შესაძლებლიდან. 11 ქულით II ადგილზე გავიდა 18 წლის ლვოველი მოჭადრაკე ვასილი ივანჩუკი. სხვათა შორის, ეს გახლავთ საბჭოთა სპორტსმენების მიერ ამ ახალ წელიწადს მოპოვებული პირველი მედლები.

პროფესიონალები და სტუდენტები

როგორც ვიუწყებოდით აშშ-ში დაიწყო კალათბურთის ეროვნული ასოციაციის ჩემპიონატი. მოკლედ ნბა-ს ჩემპიონატის სისტემაზე: ტურნირში მონაწილეობს 23 გუნდი, რომლებიც ოთხ ქვეჯგუფად არიან დაყოფილი. **პასიფიკ დივიზიონი** (წყნარი ოკეანის დივიზიონი). მონაწილეობენ „ლოს-ანჯელეს ლეიკერსი", „პორტლენდ თრეილ ბლეიზი", „გოლდენ შტატ უორიორის", „სიეტლ სუპერსონიქსი", „ფენიქს სანზი", „ლოს-ანჯელეს კლიპერსი"; **მიდვესტ დივიზიონი** (შუა დასავლეთი): „ჰიუსტონ როკეტსი", „სანტ-ანტონიო სპურსი", „საკრამენტო კინგზი", „დალას მავერიქსი", „დენვერ ნაგითსი"; **სენტრალ დივიზიონი** (ცენტრალური): „მილუოკ ბაქსი", „ჩიკაგო ბულსი", „კლივლენდ კავალიერსი", „დეტროიტ პისტონზი", „ატლანტა ჰოუქსი" „ინდიანა პეიზერსი". **ატლანტიკ დივიზიონი** (ატლანტიის ოკეანე) „ბოსტონ სელტიქსი", „ნიუ-იორკ ნიქსი", „ნიუ-ჯერსი ნეთსი", „ფილადელფია-76", „ვაშინგტონ ბულიტსი". სენტრალ და ატლანტიკ დივიზიონის კლუბები ქმნიან აღმოსავლეთის კონფედერაციას, ხოლო პასიფიკ და მიდვესტ დივიზიონის გუნდები — დასავლეთისას. ყველა 23 გუნდი წინასწარი თამაშების დროს ოთხჯერ ხვდება ერთმანეთს. ქულების ჩათვლა მიმდინარეობს დივიზიონების მიხედვით. წინასწარი თამაშების შემდეგ 16 უძლიერესი გუნდი უკვე ოლიმპიური სისტემით (პლეიოფ) გაითამაშებს ნბა-ს ჩემპიონის წოდებას.

17 ტურის შემდეგ ნბა-ს წლევანდელ ჩემპიონატში ასეთი მდგომარეობაა: პასიფიკ დივიზიონში ლიდერობს „პორტლენდ თრეილ ბლეიზი". მეორე ადგილზეა „ლოს-ანჯელეს ლეიკერსი". მიდვესტ დივიზიონში წინაა „დენვერ ნაგითსი", სენტრალ დივიზიონში — „ჩიკაგო ბულსი", ხოლო ატლანტიკ დივიზიონში — „ბოსტონ სელტიქსი".

ბოლო ტურის შედეგები ასეთია: ფილადელფია — პორტლენტი — 94:86. ბოსტონი — დენვერი — 119:124. ვაშინგტონი — „ლეიკერსი" — 120:112. დალასი — საკრამენტო — 125:98. ფენიქსი —



ატლანტა — 117:105. გოლდენ შტატი — კლივლენდი — 113:112.

ამ ტურის შედეგებიდან, რა თქმა უნდა, პირველ რიგში ყურადღებას იპყრობს „ბოსტონ სელტიქსის" დამარცხება საკუთარ მოედანზე „დენვერ ნაგითსთან". ფართო კომენტარი გამოიწვია აგრეთვე ნბა-ს ჩემპიონის „ლოს-ანჯელეს ლეიკერსის" დამარცხებამ ვაშინგტონში.

მიმომხილველები ხუმრობით ამბობდნენ, რომ დავითმა დაამარცხა გოლიათი. აქ, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობდნენ იმას, რომ ვაშინგტონის ტანმორჩილმა მცველმა [illegible] წარმატებით ითამაშა სახელგანთქმული „მეჯიკ" ჯონსონის წინააღმდეგ, მელოუნის და ჯაბარის დუელიც პირველის უპირატესობით დამთავრდა. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ „ლეიკერსმა" ჩემპიონატის სტარტზე ექვსი მარცხი განიცადა. განსაკუთრებით მოულოდნელი იყო წაგება საკუთარ მოედანზე ლოს-ანჯელესში „პორტლენდ თრეილ ბლეიზთან" — 104:117, რომლის შემდეგაც „ლეიკერსი" იძულებული გახდა დივიზიონში ლიდერობა პორტლენდისათვის დაეთმო. ორჯერ დამარცხდა „ლეიკერსი" მილუოკში — 116:124 და 83:85. კიდევ ერთი მარცხი განიცადა „ლეიკერსმა" „ატლანტა ჰოუქსთან" შეხვედრაში — 115:120.

ორიოდე სიტყვა აშშ-ს სტუდენტთა ჩემპიონატზეც. ნკა-ს (ნაციონალური კოლეჯების ათლეტური ასოციაცია) ჩემპიონატი კალათბურთის მოყვარულთა შორის არანაკლებ ინტერესს იწვევს. ეს გასაგებიცაა. სტუდენტური კალათბურთის საუკეთესო წარმომადგენლები ყოველწლიურად ავსებენ პროფესიული კალათბურთის რიგებს. ჩინებული შედეგი აქვს არიზონას უნივერსიტეტის გუნდს. 7 მატჩი — 7 მოგება. კენტუკის და პიტსბურგის უნივერსიტეტის კოლექტივებს კი 4 მატჩიდან 4 მოგება. აიოვას უნივერსიტეტმა შვიდიდან 6 მატჩი მოიგო, ხოლო სამხრეთ კაროლინამ 6 იდან — 5. ამდენივე მოგება აქვს, ოღონდ 7 მატჩიდან, სირაკუზის უნივერსიტეტს.

მერაბ კალანდაძე.

იოგა—ჯანმრთელობის სამსახურში

სხეულის ჰიგიენა

(კრია-იოგა)

ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში შრი იოგენდრას წყალობით ფართო პოპულარობა მოიპოვა სხეულის განწმენდის ტექნიკამ. მის გარდა იოგთა ჰიგიენური ვარჯიშების შესაბამისი სპეციალური მეთოდები აღწერეს აგრეთვე სხვა ცნობილმა იოგა-მოძღვრებმა: შივანანდამ, ვიშნუდსკანანდამ, დჰიენდრა ბრაჰმაჩარიმ.

ადამიანის სიცოცხლისა და დღეგრძელობის პრობლემების შესწავლისას ჯერ კიდევ გამოჩენილმა რუსმა მეცნიერმა ი. ი. მეჩნიკოვმა მიუთითა საჭმლის მონელების დროს მსხვილ ნაწლავში გამოყოფილ ტოქსინებზე, როგორც ორგანიზმის ნაადრევი დაძაბუნების მიზეზთა კომპლექსზე. მსხვილი ნაწლავის ბაქტერიები შლიან საკვებ ნივთიერებათა ნარჩენებს და იწვევენ სხვადასხვა ტოქსინების — ფენოლის, ონდოლის, სკატოლის, აგრეთვე ზოგიერთი სახის გვამის შხამის, კადავერინისა და პუტრესცინის წარმოქმნას. ეს ტოქსინები შეიწოვება მსხვილი ნაწლავის ლორწოვანი გარსის, შემდეგ კი ხვდება ღვიძლის სისხლის მიმოქცევის სისტემაში, სადაც ხდება მათი გაუვნებლება. ამ პროცესის განსახორციელებლად ღვიძლი დიდძალ ენერგიას ხარჯავს ადენოზინტრიფოსფატის (ატფ) სახით. ი. ი. მეჩნიკოვის აზრით აღნიშნული ტოქსიკური ნივთიერებები ნელა, მაგრამ განუხრელად წამლავენ ადამიანის ორგანიზმს და ამოკლებენ სიცოცხლის ხანგრძლივობას.

ჯერ კიდევ ძველად იოგები სიცოცხლის ნაადრევი შეწყვეტის მიზეზად ასევე ნაწლავების მიერ გამოყოფილ ტოქსინებს თვლიდნენ. თუ ნაწლავები რეგულარულად იწმინდება, მაშინ ღვიძლი არ გადაიტვირთება, ხოლო ენერგია, რომელიც ტოქსიკურ ნივთიერებათა უვნებელყოფას ხმარდება, შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვა ორგანოებისა და სისტემების უკეთ ფუნქციონირებისათვის, ამიტომ ყველამ, ვისაც სურს დაიცვას საკუთარი ორგანიზმი ნაადრევი სიბერისაგან და უზრუნველჰყოს შინაგანი ორგანოების ჰიგიენა, უნდა აწარმოოს ბრძოლა ორგანიზმის შინაგანი ინტოქსიკაციის წინააღმდეგ. კვების გარკვეული ბუნებრივი რეჟიმის დაცვით მნიშვნელოვანწილად შესაძლებელია ორგანიზმში ტოქსინების წარმოქმნის თავიდან აცილება, მაგრამ იმ ტოქსინების გამოძევებისათვის, რომლებიც ორგანიზმში გარედან ხდება, აუცილებელია დამატებითი გამწმენდი პროცედურები, რომლებსაც დიდი რაოდენობით გვთავაზობს იოგთა სისტემა. ჰიგიენური პროცედურების მნიშვნელობა მდგომარეობს ეგზოგენური (გარედან მოხვედრილი) ტოქსინებისა და ნივთიერებათა ცვლის შედეგად გადამუშავებული პროდუქტების ინტენსიურ გამოძევებაში. აი, რატომაა ეს პროცედურები ასე მნიშვნელოვანი ელემენტი იოგათა ვარჯიშისა, ორგანიზმიდან ტოქსინების სწრაფი და დროული „ევაკუაცია" აადვილებს ასანების შესრულებას, იმდენად, რამდენადაც ხსნის უმაღლეს ნერვულ მოქმედებაზე დამამუხრუჭებელი ეფექტის ზეგავლენას, ამაღლებს ორგანიზმის შინაგანი მაჩვენებლების ოპტიმალურობას და აძლიერებს ყურადღების კონცენტრაციის ხარისხს.

ცივილიზებული ადამიანის უმოძრაო ცხოვრების წესი ანელებს ნაწლავებისა და სხვა გამომყოფი ორგანოების მოქმედებას, რაც აძნელებს ტოქსინებისაგან ორგანიზმის ბუნებრივ განთავისუფლებას. ამას გარდა, თანამედროვე ადამიანის საკვები ქიმიური და კულინარული დამუშავების შედეგად მნიშვნელოვანწილად „დენატურალიზირებულია", ასეთ პირობებში კრიის პროცედურები საჭირო და სასარგებლოა.

ამასთანავე, ყველას უნდა ახსოვდეს, რომ იოგების ჰიგიენური პროცედურების მიზანია ტოქსინთა გაძევებაში ორგანიზმის ხელშეწყობა და არა ბუნებრივი გამომყოფი ფუნქციის ნაცვლის შექმნა. ეს არ უნდა დავივიწყოთ, თუ კი გვინდა, რომ თავიდან ავიცილოთ ყოველგვარი ზედმეტობა და უკიდურესობა.

კრია-იოგის ყველაზე ცნობილ გამწმენდ პროცედურათაგან შეიძლება დავასახელოთ ექვსი: ნეტი, დჰაოტი, ბასტი, ნაული, ტრატაკუ და კაპალაბჰატი.

საჭმლის მომნელებელი სისტემის ჰიგიენა. დჰაოტი

განვიხილოთ საჭმლის მომნელებელი სისტემის გაწმენდის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი პროცედურები, რომლებსაც იოგთა სექციის წევრთა უმრავლესობა ატარებს.

კუჭის გაწმენდა

კუჭის გაწმენდა იოგების პრაქტიკაში სავალდებულოდ ითვლება კვირაში ან ორ კვირაში ერთხელ. ცნობილია კუჭის გაწმენდის შემდეგი ხერხები:

წყლით კუჭის გაწმენდა (ვამანა დჰაოტი)

პროცედურა ტარდება შემდეგნაირად: უნდა დალიოთ თბილი წყალი დიდი რაოდენობით (1,5-3 ლიტრამდე). განსაზღვრული დროის შემდეგ კუჭიდან წყალი უნდა ამოანთხიოთ. „ვამანა" სანსკრიტზე ნიშნავს „პირღებინებას", „გულისრევას", „დჰაოტი" გაწმენდას, „ვამანა დჰაოტი" კუჭის გაწმენდა „პირღებინებით". სავარჯიშო ორი სახეობისაა — სპილოს მოქმედება (კუნჯალია) და ვეფხვის მოქმედება (ბაგხა).

სპილოს მოქმედება (კუნჯალია)

ეს სახელწოდება წარმოიშვა სიტყვა „კუნჯალიადან", რაც ნიშნავს სპილოს. იოგების ლიტერატურაში ეს სავარჯიშო აგრეთვე ცნობილია „გაჯაკარანის" სახელწოდებით. იოგათა ნაწარმოებებში ბზაკტისაგარა გრანტხა დჰაოტის ამ სახეობის შესახებ ნათქვამია შემდეგი: „ის, რაც ცნობილია, როგორც სპილოს მოქმედება", იცავს ორგანიზმს სხვადასხვა დაავადებისაგან. იგი შედგება კუჭის წყლით ავსებისაგან და შემდეგ ყოველგვარი ძალდატანების გარეშე ამ წყლის უკან ამონთხევისაგან, ზუსტად ისე, როგორც ამას აკეთებს სპილო, მდინარიდან ხორთუმით წყალს შეისრუტავს და შემდეგ ხორთუმიდანვე მას გადმოასხავს". გაათბეთ წყალი, ჩაიცუცქეთ იატაკზე კაგასანას პოზაში (ყვავის პოზა), მუხლები განზე გასწიეთ, რაც გამორიცხავს კუჭზე მუცლის არის დაწოლას. ამ მდგომარეობაში დალიეთ თანმიმდევრულად წყალი, სანამ არ იგრძნობთ, რომ მეტის დალევა არ შეგიძლიათ. ესე იგი თქვენი კუჭი მაქსიმალურად გაივსო წყლით. წყლის დალევის შემდეგ, ადექით ფეხზე და ორივე ხელით დააწექით მუცელს და რამდენიმეჯერ ჩაატარეთ უდიანა ბანდხა (მუცლის ტრიალი). დაიხარეთ წინ სწორი კუთხით, ფეხები ერთად, მარცხენა ხელი დაადეთ მუცელზე კუჭის არეში, მსუბუქად შეწიეთ მუცელი შიგნით, როგორც უდიანა ბანდხას დროს, მარჯვენა ხელის სამი თითი კი შეუღუტუნეთ ენის ძირს, რაც გამოიწვევს პირღებინებას. თუ თქვენ ვერ მიაღწიეთ სასურველ შედეგს, მაშინ გაალიზიანეთ ენის კლიტე, რაც პირღებინებას გამოიწვევს. თავიდან წყალი სუსტი ნაკადით წამოვა, მაგრამ 2-3 ცდის შემდეგ ენის ძირზე ყოველი დაჭერა გამოიწვევს წყლის ამონთხევას უფრო მეტ და მეტ ნაკადათ, ამოიღეთ თითები პირიდან და ნულარ გამოიყენებთ მათ მანამდე, სანამ არ შეწყდება პირიდან წყლის ძლიერი, შეუწყვეტელი ნაკადის გადმოღვრა. შემდეგ ისევ ჩაიყავით თითები პირში ენის ძირთან. თუ თქვენ პირის ღრუს გაღიზიანების შემდეგ, გულისრევის გრძნობის მიუხედავად, წყალს აღარ გადმოღვრით, ესე იგი კუჭში წყალი აღარ არის. პირღებინების ბოლო აქტის შემდეგ თქვენ იგრძნობთ პირში სიმწარეს (კუჭიდან ამონთხეულ წყალს მწარე ან მჟავე გემო ექნება). ეს არის კუჭის კარგი გაწმენდის პირველი ნიშანი. ბოლოს, საბოლოო გაწმენდის მიზნით დალიეთ ერთი ფინჯანი გრილი წყალი. კუნჯალია უნდა ჩაატაროთ დილით ადრე უზმოზე, იოგების ყოველდღიური პროგრამის შესრულების წინ, ნაწლავების დეფიკაციის შემდეგ. ისინი კი, ვინც კვირაში ერთ დღეს საკვებისაგან თავს იკავებს („წყლის დღე"), მიზანშეწონილია კუნჯალია ჩაატაროთ სადილობის დროს.

ალექსი იაკობაშვილი.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. იხ. „ლელო" 1987 წლის №№ 205, 210, 215, 220, 225, 229, 234, 239, 244, 248.

ინფორმაცია

ინსბრუკი. ოლიმპიურმა ჩემპიონმა თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომაში მატი ნიუკიანენმა (ფინეთი) მოიგო შეჯიბრება 90-მეტრიან ტრამპლინზე. „ოთხი ტრამპლინის ტურნეს" ეს ეტაპი, ისევე როგორც სხვა წინა ეტაპები, მსოფლიო თასის ჩათვლაში შედის, სადაც ლიდერია ფინელი სპორტსმენი. ინსბრუკში ნიუკიანენმა 108 და 105 მეტრი დასძლია. მეორე ადგილი ანდრეას ბლაუერს (გფრ) ხვდა — 107 და 96 მეტრი, მესამე — იენს ვაისფლოგს (გდრ) — 96 და 101 მეტრი.

იუპი-ს სააგენტო კატმანდუდან იუწყება, რომ შვიდი მთამსვლელიდან შემდგარმა ექსპედიციამ დაიპყრო ევერესტის მწვერვალი. ალპინიზმის ისტორიაში ეს მეოთხე შემთხვევაა, როცა მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალი ზამთარში დაიპყრეს. მთამსვლელთა ჯგუფს მეთაურობდა სამხრეთკორეელი ალპინისტი, ექსპედიცია მწვერვალზე სამხრეთ-აღმოსავლეთი ფერდობიდან ავიდა. ჯგუფმა პირველი ბანაკი გაშალა 6.100 მეტრზე, მეორე — 6.600 მეტრზე და მესამე — 7.000 მეტრზე.

ზამთრის ასვლები ნეპალის მწვერვალებზე ურთულეს მეტეოროლოგიურ პირობებში მიმდინარეობს, ტემპერატურა მეტისმეტად დაბალია, მძვინვარე ქარიშხალი თითქმის არ წყდება.

როგორც ვიუწყებოდით, ყოფილმა მსოფლიო ჩემპიონმა მძიმე წონის პროფესიონალ მოკრივეთა შორის, 40 წლის ჯორჯ ფორმენმა ხანგრძლივი პაუზის შემდეგ კვლავ განაახლა გამოსვლა.

ამას წინათ მან ლას-ვეგასში გამართა თავისი რიგით მეხუთე ორთაბრძოლა რინგზე დაბრუნების შემდეგ (წინა ოთხი შეხვედრა მისი გამარჯვებით დასრულდა). მესამე რაუნდში მსაჯმა ორთაბრძოლა შეწყვიტა: ფორმენმა ტექნიკური ნოკაუტით დაამარცხა როკი სეკორსკი (აშშ).

რედაქტორი
თ. ბაჩეჩილაძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096 თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო",

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 05108